საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-09/26

ქ. ბათუმი 24 იანვარი, 2018წ

,,2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 12 დეკემბრის №01- 09/861 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13, 66–ე მუხლების, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'',,,2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-სსაგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 29 აგვისტოს №01-08/64 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ'' ბსუ–ს რექტორის 2017 წლის 12 დეკემბრის №01- 09/861 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

   ა) ბრძანების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,2. დაინტერესებულ პირებს - სტუდენტებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით განემარტოთ, რომ შეუძლიათ არაუგვიანეს 2018 წლის 26 იანვრისა, ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ აქტთან დაკავშირებით.''

   ბ) ბრძანების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,5. ფინანსური დავალიანების მქონე ბსუ-ს სტუდენტთა მიმართ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსისშეჩერების შესახებ ბრძანება გამოიცეს 2018 წლის 29 იანვრის შემდეგ, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად.

2. ეთხოვოს ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს არაუგვიანეს 2018 წლის 29 იანვრისა წარმოადგინონ მონაცემები იმ სტუდენტების შესახებ, რომლებსაც 2018 წლის 27 იანვრის მდგომარეობით არ ექნებათ გადახდილი 2017-2018 სასწავლო წლის

შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასური (მეორე და მესამე ეტაპზე გადასახდელი თანხა).

3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს და შესაბამის სტრუქტურულერთეულებს.

4. ბრძანება საჯარო გამოქვეყნების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მ. ხალვაში